საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/54

ქ. ბათუმი 14 ივლისი, 2022 წ.

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების, ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 9 22 0000729336, 29.06.2022) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი წინამდებარე დადგენილების **№1 დანართის** შესაბამისად და **ამოქმედდეს 2022 წლის 15 ივლისიდან.**
2. **2022 წლის 15 ივლისიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება.

3. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე („იურიდიული ცნობარი“, „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“), ასევე სტუდენტურ პორტალზე და დაეგზავნოს ბსუ-ს სტუდენტებს, პერსონალს და დამსაქმებლებს.

4. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. დადგენილება ძალაშია გამოცემისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანწმიდელის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის
14 ივლისის N06-01/55 დადგენილების
დანართი N1

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საგანმანათლებლო პროგრამების **შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი** (შემდგომში - წესი/მეთოდოლოგია/პროცედურები) **განსაზღვრავს** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი ან ბსუ) საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, მედიცინის/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიანი), ქართულ ენაში მომზადებისა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) **დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიას,** ასევე პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების **პროცედურებს.**

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს საკანონმდებლო აქტების, **მათ შორის** ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების საფუძველზე.

3. **წინამდებარე წესის (მეთოდოლოგიის/პროცედურების) შემუშავების მიზანია ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების/განვითარების ისეთი მექანიზმის შექმნა**, რომელიც ხელს შეუწყობს:

ა) პროგრამების შემუშავების პროცედურების/მეთოდოლოგიის შესახებ ბსუ-ს პერსონალის/სტუდენტების, ასევე დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირებას;

ბ) პროგრამების შემუშავებაში პერსონალის/სტუდენტების, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის დაინტერესების გაზრდას და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინიცირებას;

გ) <u>საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული</u> უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნათა შესრულებას (აღნიშნული სტანდარტის კომპონენტებია: **1)** საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება; **2)** საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; 3) სწავლის შედეგების შეფასება);

დ) ბსუ-ში ისეთი პროგრამების განხორციელებას, რომლებიც შესაბამისობაში იქნება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და დაემყარება შემდეგ პრინციპებს (ან/და გაითვალისწინებს):

დ.ა) ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს; დარგის თანამედროვე მიღწევებს; მეცნიერების, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების საჭიროებებს;

დ.ბ) სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ინკლუზიურობას;

დ.გ) სწავლებისა და კვლევის ინტეგრირებას;

დ.დ) კურიკულუმის, სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციას.

დ.ე) ბსუ-ს პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფას.

4. ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები (პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით), პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციები, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა.

5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება (ახალი პროგრამის შემთხვევაში) ან მოქმედ პროგრამაზე მუშაობა (რეაკრედიტაციის საჭიროების შემთხვევაში) უნდა დაიწყოს აკრედიტაციის მიღების სასურველ თარიღამდე სულ მცირე **1 (ერთი) წლით** ადრე და წარდგენილი უნდა იქნეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში **<u>არაუგვიანეს 6 თვით ადრე</u>**. პროგრამის განმახორციელებელმა ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს საგანმანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის უწყვეტობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წინამდებარე წესში (**მეთოდოლოგიაში**) გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია **პროგრამის მიზნები,** სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები/კონცენტრაციები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) **ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა** – სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი პროგრამა;

გ) **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები** - სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი. **სასწავლო კომპონენტი** საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის/საგნის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით, ხოლო **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის სახით;

დ) **სასწავლო კურსის** პროგრამა **(სილაბუსი)** – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) **მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე სასწავლო კურსებს/საგნებს. მოდულში განსაზღვრულია სასწავლო კურსთა/საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;

ვ) **კონცენტრაცია** - უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფება კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში;

ზ) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. **სტუდენტის სასწავლო დატვირთვა** (ის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად) უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს; **საკონტაქტო საათი** არის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, ხოლო **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

თ) **შეფასების კომპონენტები** - სტუდენტის შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

ი) **სწავლის შედეგები** – საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, კონცენტრაციის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები. **სწავლის შედეგების** მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება **შეფასების მეთოდები** (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) და სხვ). საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება **შეფასების მეთოდები, ხოლო შეფასების კრიტერიუმი** კი არის შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდება;

კ) **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც სტუდენტს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უნივერსიტეტი;

ლ) **კვალიფიკაცია** – სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით და დასტურდება ბსუ-ს მიერ გაცემული დიპლომით;

მუხლი 3. პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

1. პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ურთიერთანამშრომლობითი, ღია და გამჭვირვალე პროცესია. მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ (შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები), რათა საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებდეს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მიღებულ საგანმანათლებლო სტანდარტს. ახალი

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება უნდა მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რაც დადასტურებული უნდა იქნას სათანადო კვლევებით. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიცირება შესაძლებელია ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან (პროგრამის პროფილის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე არანაკლებ 3 აკადემიური თანამდებობის პირი) ან ფაკულტეტის მართვის ორგანოებისაგან.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან მოქმედი პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება **პროგრამის სამუშაო ჯგუფი,** რომლის შემადგენლობაში შედიან:

ა) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;

ბ) აკადემიური/სამეცნიერო/ან მოწვეული პერსონალი;

გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

დ) სტუდენტი/სტუდენტები;

ე) კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები;

ვ) დამსაქმებელი/დამსაქმებლები (შრომის ბაზრის/ინდუსტრიის, კურსდამთავრებულის სავარაუდო დასაქმების სფეროს წარმომადგენელი);

ზ) ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს იმ პროგრამის აკადემიური პერსონალი, რომელზეც აგრძელებენ სწავლას ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულები.

თ) პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);

ი) უცხოელი სპეციალისტი, უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა/შემუშავების შემთხვევაში (რეკომენდებულია უცხოელი სპეციალისტი მოწვეულ იქნას ერთჯერადად);

3. პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა უნდა იმუშაოს ამ პროგრამაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში (განვითარების/გაუმჯობესების/რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების მიზნით).

4. ფაკულტეტის საბჭო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილებას იღებს, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების **საჭიროების დადასტურების საფუძველზე** (ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი, ქართულ და უცხოურ უსდ-ში ანალოგიური პროგრამების ანალიზი, მოქმედი პროგრამის შემთხვევაში კი წარმოდგენილი უნდა იქნეს პროგრამის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგები).

5. ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით წარუდგენს რექტორს პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას და სათანადო დადასტურებებს: **ა)** ბოლო ხუთი წლის კურსდამთავრებულთა (არსებობის შემთხვევაში) დასაქმების მაჩვენებელი; **ბ)** მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემები; **გ)** შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო კვლევების შესახებ მონაცემები. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის (ვიზირების) შემდეგ სამუშაო ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს, რომელიც ამტკიცებს პროგრამის სამუშაო ჯგუფს ან ხარვეზების არსებობის შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს და ადგენს გონივრულ ვადას მათ აღმოსაფხვრელად.

6. პროგრამის სამუშაო ჯგუფი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეიმუშავებს სამუშაო გეგმას, რომელშიც დეტალურად უნდა გაიწეროს პროგრამის შემუშავების/ცვლილებების განხორციელების და

აკრედიტაციისთვის მომზადების ვადები, ცალკეული აქტივობის შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები. ფაკულტეტის დეკანის მიერ სამუშაო გეგმა, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით (ვიზირებით), წარედგინება ბსუ-ს რექტორს, სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით.

7. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების/ცვლილებების განხორციელების შიდა ექსპერტიზის მიზნით ფაკულტეტზე იქმნება კურიკულუმის კომიტეტი/კომიტეტები, ფაკულტეტის საგანმანთლებლო პროგრამების მიმართულებების მიხედვით. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს დასამტკიცებლად კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობას (ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დარგობრივი დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორები).

8. პროგრამის სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის მუშაობას კოორდინირებას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

9. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები სამუშაო ჯგუფთან ერთად ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამის სილაბუსებსა და პროგრამის აკრედიტაციისათვის საჭირო ყველა მასალას და განსახილველად წარუდგენს კურიკულუმის კომიტეტს.

10. კურიკულუმის კომიტეტი:

ა) განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა **(ნიმუში - დანართი №1)**; სილაბუსები **(ნიმუში - დანართი №2)**; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; კურიკულუმის რუკა; პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა **(ნიმუში - დანართი №3);** დადასტურება ბსუ-ს ბიბლიოთეკიდან სავალდებულო ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში ხელმისაწვდომობის შესახებ; პროგრამის პირველადი ხარჯთაღრიცხვა/ბიუჯეტი **(ნიმუში/ფორმა მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად);** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა პროგრამის უცხო ენაზე განხორციელების თაობაზე; საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების დამადასტურებელი დასკვნები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან (სასურველია მათ შორის ერთი მაინც იყოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლისგან);

ბ) იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დაგეგმვა/შემუშავებასთან დაკავშირებულ თითოეულ საკითხზე, ისმენს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისაგან, უფლებამოსილია მოითხოვოს საცდელი ლექციის/ჯგუფში მუშაობის ან სხვა აქტივობის ჩატარება, შეამოწმოს სასწავლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეაფასოს სამეცნიერო-კვლევები და სხვა;

გ) პროგრამის შემუშავების პროცესში არსებული ხარვეზების შემთხვევაში, უფლებამოსილია სამუშაო ჯგუფს მისცეს რეკომენდაცია და გონივრული ვადა მათ აღმოსაფხვრელად.

11. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში კურიკულუმის კომიტეტის წევრებმა უნდა შეიკრიბონ სულ მცირე ორჯერ. კურიკულუმის კომიტეტის მუშაობა აისახება კომიტეტის სხდომის ოქმებში. კომიტეტი ამზადებს დასკვნას პროგრამის

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის/შეუსაბამობის თაობაზე. კურიკულუმის კომიტეტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა წარედგინება დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს.

12. ფაკულტეტის საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამა, სათანადო რეკომენდაციებით უბრუნდება პროგრამის სამუშაო ჯგუფს გადასამუშავებლად.

13. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით (ვიზირებით) წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

14. ფაკულტეტის საბჭო და აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მოითხოვოს საგანმანათლებლო პროგრამის დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

15. აკადემიურ საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის პროცესის კოორდინირებას ახორციელებს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 4. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

1. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში - ერთობლივი პროგრამა) დაგეგმა/შემუშავების პროცედურა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

2. ერთობლივი პროგრამის შემუშავების პროცესში წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული მასალების (დოკუმენტების) გარდა დამატებით უნდა იქნეს წარდგენილი:

ა) თანხმობის წერილი პარტნიორი დაწესებულებიდან (უნდა მიეთითოს შესაბამისი საფეხური, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები პარტნიორი ორგანიზაციებიდან; პარტნიორი ორგანიზაციის მონაწილეობა კომპონენტების განხორციელებაში: კურიკულუმის შემუშავება/ცალკეული სალექციო კურსის წარმართვა პროფესორების (მკვლევარების) მიერ/სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა/სტუდენტების გაცვლა/ერთობლივი ხარისხის მინიჭება თუ სხვა);

ბ) პარტნიორი დაწესებულებების სრული სია და განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

3. ერთობლივი პროგრამის განხორციელებისას რეკომენდებულია:

ა) სტუდენტმა ისწავლოს და/ან განახორციელოს კვლევა პარტნიორ დაწესებულებაში;

ბ) ხელი შეეწყოს უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ასწავლოს და განახორციელოს კვლევა პარტნიორ დაწესებულებაში;

გ) ხელი შეეწყოს პარტნიორი დაწესებულების აკადემიურ და/ან სამეცნიერო პერსონალს ასწავლოს და განახორციელოს კვლევა უნივერსიტეტში;

დ) პარტნიორი დაწესებულების შესაბამისი პერსონალი იყოს საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.

4. ერთობლივი პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ წარმოდგენილ მოთხოვნებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი პარტნიორი უნივერსიტეტებიდან;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის (კვლევითი ცენტრის) შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი;

გ) საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია განმახორციელებელი პარტნიორი უნივერსიტეტების (სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის) მოთხოვნების შესაბამისად;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი;

ე) პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი ხელმძღვანელობს საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომს/ნაშრომებს;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უნდა იყოს თანმიმდევრული და ლოგიკური. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა აგებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით (ავტორიზაციის/აკრედიტაციის დებულებით) გათვალისწინებულ ინფორმაციას/მონაცემებს, მათ შორის:

ა) **პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან;

ბ) **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)** - მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი უნდა განისაზღვროს ქართულ და ინგლისურ ენაზე, მინისტრის შესაბამისი ბრძანებით/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად;

გ) **პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება** - სავალდებულოა განისაზღვროს პროგრამის მოცულობა კრედიტებში, მიეთითოს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის გათვალისწინებული სემესტრების მინიმალური რაოდენობა. ასევე, უნდა გაიწეროს პროგრამის შემადგენელი ნაწილები (კონცენტრაცია/მოდული) და თითოეული მათგანის მოცულობა კრედიტებში, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ **(შემდეგში - კრედიტებით გაანგარიშების წესი)** და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნათა და ECTS-ის სახელმძღვანელოს გათვალისწინებით;

დ) **სწავლების ენა - პროგრამის სტრუქტურაში უნდა მიეთითოს/ჩაიწეროს სწავლების ის ენა, რომელზეც განხორციელდება პროგრამა/მიმდინარეობს სწავლება.** პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია

საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია სამინისტროსთან. დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის უცხოურ ენაზე შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ცოდნის დონის განსაზღვრა და გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება;

ე) **პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები** - პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

ვ) **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ბსუ-ს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია განისაზღვროს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები (მაგალითად: წერითი/ზეპირი/კომბინირებული გამოცდა სპეციალობაში (საგამოცდო საკითხები შესაბამის ლიტერატურასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი)/უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე; სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დაწყებისათვის, თუ რომელ სფეროში/დარგში უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და სხვ.). უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს შესაბამისი უცხოური ენის არანაკლებ **B2 დონეზე** ცოდნის ვალდებულება. უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურის პროგრამებზე/ერთსაფეხურიან პროგრამებზე ჩარიცხვის რეგულაცია/დაშვების წინაპირობები განისაზღვრება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების/ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებების შესაბამისად. ბსუ-ს დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული დოქტორანტურის დებულებით.

ზ) **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** - პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს ბსუ-ს/შესაბამისი ფაკულტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას; უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული და მიღწევადი. პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს, კურსდამთავრებულის რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების გამომუშავებისკენ არის მიმართული, რა წვლილის შეტანას შეძლებს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; უნდა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს; პროგრამაში ასახული უნდა იყოს ინტერნაციონალიზაციის საკითხები (არსებობის შემთხვევაში);

თ) **სწავლის შედეგები** - აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად). მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ცალკეულ დარგში პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ეყრდნობოდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. ასევე უნდა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე:

თ.ა) **ცოდნა და გაცნობიერება** - სწავლის ერთი-ერთი შედეგი, რომელიც გულისხმობს სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგს;

თ.ბ) **უნარები** - სწავლის ერთი-ერთი შედეგი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას;

თ.გ) **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** - სწავლის ერთი-ერთი შედეგი, რომელიც გულისხმობს ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებას, პასუხისმგებლობას კოლეგებისა თუ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიმართ, ასევე, სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებას კეთილსინდისიერების კულტურის განვითარების პროცესში, მათ შორის პლაგიატის პრევენციას;

ი) **სწავლა-სწავლების მეთოდები** - პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასურველია გამოყენებულ იქნას მეთოდები, ამა თუ იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკის გათვალისწინებით <u>(სწავლების მეთოდებია:</u> ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, თანამშრომლობითი სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები, სიმულაცია, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, გამოცდილებით სწავლება და ა.შ.). სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია ხელს უნდა უწყობდეს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას. სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა;

კ) **შეფასების სისტემა** - დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) მიმდინარე (დამოუკიდებელი) მუშაობის შეფასებას;

ბ) შუალედურ შეფასებას;

გ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) **(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;**

ბ) **(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;**

გ) **(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;**

დ) **(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;**

ე) **(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.**

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ა) **(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა,** რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ბ) **(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,** რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, შესაბამისად, სასწავლო კურსი ახლიდან აქვს გასავლელი/შესასწავლი (სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი

სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, ითვლება ჩაჭრილად).

ლ) **დასაქმების სფეროები** - პროგრამაში უნდა აღინიშნოს, თუ სად შეიძლება დასაქმდეს კურსდამთავრებული;

მ) **სწავლის საფასური (საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის)** - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის (შემდეგში - ბსუ-ში სწავლის საფასურის განსაზღვრის წესი) თანახმად უმაღლესი განათლების **პირველ და მეორე საფეხურის, ასევე ერთსაფეხურიან პროგრამებზე სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისათვის შეადგენს 2250 ლარს** (მათ შორის სამაგისტრო საფეხურზე სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხაზე მეტი ოდენობით განსაზღვრის საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით). **ბსუ-ში სწავლის საფასურის განსაზღვრის** წესისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განისაზღვრება ბსუ-ში სწავლის წლიური საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირებისათვის, უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე;

ნ) **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი** - პროგრამას უნდა დაერთოს:

ნ.ა) პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე <u>პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები</u> (შენიშვნა: შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით);

ნ.ბ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი <u>მატერიალური რესურსების შესახებ</u>, შედგენილი წინამდებარე წესზე თანდართული ფორმის **(წინამდებარე წესის N4 დანართი)** შესაბამისად (შენობის/შენობების მისამართი, აუდიტორიების, ლაბორატორიების და ა.შ. ჩამონათვალი, შესაბამისი ტექნიკის ჩამონათვალი, საბიბლიოთეკო რესურსების აღწერილობა, ელექტრონული რესურსების აღწერილობა, პროგრამის პროფილის შესაბამისი ელექტრონული პროგრამების აღწერილობა და სხვ.);

ნ.გ) ბსუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაზე <u>მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.</u>

ო) **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა** - საგანმანათლებლო პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაზე, რომელიც უნდა მომზადდეს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან, კურიკულუმის კომიტეტთან და ბსუ-ს ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით;

პ) **დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)** - დამატებითი ინფორმაციის სახით საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლოა აღწერილ იქნას პროგრამის განსაკუთრებულად ძლიერი მხარეები (მაგალითად: საერთაშორისო თანამშრომლობა, ინდუსტრიასთან თანამშრომლობა, თემის საჭიროებებსა და ეროვნულ და საერთაშორისო პრიორიტეტებზე ორიენტირებულობა და სხვ.).

2. საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აისახოს სასწავლო გეგმა. იგი უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. კომპონენტებს შორის უნდა იყოს ლოგიკური კავშირი, რომელთა ერთობლიობამ უნდა უზრუნველყოს საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მიღწევა. სასწავლო გეგმაში მიეთითება კომპონენტის სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, კოდი, დაშვების წინაპირობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება.

3. პროგრამის სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს **სწავლის შედეგების რუკა,** რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან;

4. საგანმანათლებლო პროგრამას უნდა დაერთოს: სასწავლო კურსების სილაბუსები; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ; ინფორმაცია (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროგრამაში ჩართულ საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით ან სხვა დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება და პროგრამის პირველადი ხარჯთაღრიცხვა.

5. პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების მეთოდების სხვადასხვა კომბინაციას. დეტალური ინფორმაცია მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილ შეფასების მეთოდებზე უნდა აღიწეროს კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

6. სასწავლო კურსის სილაბუსი **(წინამდებარე წესის დანართი №2)** უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება;

ბ) სასწავლო კურსის კოდი;

გ) სასწავლო კურსის/მოდულის სტატუსი;

დ) ავტორ(ებ)ი (სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სტატუსი, ფაკულტეტისა და დარგობრივი დეპარტამენტის დასახელება, ტელეფონი, კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მისამართი);

ე) სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირ(ებ)ი (სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სტატუსი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

ვ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;

ზ) კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება;

თ) სასწავლო კურსის სტრუქტურა;

ი) დაშვების წინაპირობები;

კ) სასწავლო კურსის შინაარსი;

ლ) სწავლება-სწავლის მეთოდები;

მ) შეფასების კრიტერიუმები;

ნ) სწავლის შედეგები;

ო) ძირითადი ლიტერატურა;

პ) დამხმარე ლიტერატურა.

7. საგანმანათლებლო პროგრამაში ასახული სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია ხელს უნდა უწყობდეს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას, მეთოდები უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფაკულტეტის საბჭოს მიერ შეიძლება შემუშავდეს როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა. ***სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.***

8. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, სფეროს აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებდეს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში.

მუხლი 6. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობა

1. პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინირება უნდა გაუწიოს პროგრამის ხელმძღვანელმა, რომელსაც უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით.

2. ბსუ-ს პროგრამის ხელმძღვანელი განისაზღვრება პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. დასაშვებია პროგრამას ჰყავდეს ორი ან მეტი ხელმძღვანელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა შეიცავს კონცენტრაციებს ან პროგრამა ინტერდისციპლინურია (სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში მოიცავს რამდენიმე კვლევით მიმართულებას/დარგს). საგანმანათლებლო პროგრამის ორი ან მეტი ხელმძღვანელის შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებაში უნდა გაიმიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის სფეროები (ფუნქციები).

3. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. პირი არ შეიძლება იყოს სწავლების ერთი და იგივე საფეხურზე ერთზე მეტი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (გამონაკლისი შეიძლება დაიშვას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით მიღებული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით).

4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელების ფუნქცია და პასუხისმგებლობაა:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა;

ბ) პროგრამის სრულყოფის მიზნით პროგრამის შიდა და გარე შეფასების, მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგების ანალიზი და რეაგირება, ასევე მისი განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასების პროცესი;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დაცვა;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/მხარეების ჩართულობა;

ე) ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად შერჩეული პერსონალის/კანდიდატურებისა და

მათი აკადემიური ან/და საათობრივი დატვირთვების განსაზღვრა, პროგრამის განხორციელების პროცესში საჭიროების შესაბამისად;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან თანამშრომლობა და მათზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება;

ზ) სტუდენტებზე ინფორმაციის მიწოდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო/აუცილებელი ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და საბიბლიოთეკო რესურსის შესახებ და მათთვის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, ასევე პროგრამის განხორციელების თავისებურებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარება (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა სადოქტორო სემინარში, დოქტორანტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვა);

თ) პროგრამის დაგეგმვა / შემუშავების / დამტკიცების / ცვლილებების შეტანის/ აკრედიტაციისათვის წარდგენისათვის მოსამზადებელი სამუშაოებების ინიცირება, ასევე საგანმანათლებლო **პროგრამის განხორციელების/მიმდინარეობის შესახებ ყოველწლიური** ანგარიშის მომზადება;

ი) პროგრამის პორტფოლიოსათვის ინფორმაციის შეგროვებაზე მონიტორინგის განხორციელება, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.

კ) საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციის ფარგლებში სხვა ფუნქციების შესრულება.

5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები:

ა) პირადი განცხადება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ყოველწლიური ანგარიშის დადგენილი წესის და ვადების შესაბამისად წარუდგენლობა, არაჯეროვანი მომზადება ან/და ანგარიშის უარყოფითი შეფასება;

გ) ფაკულტეტის საბჭოს/აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

1. პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უნდა განხორციელდეს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

2. საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის, მისი ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი განვითარების მიზნით **რეგულარულად ხორციელდება** საგანმანათლებლო <u>პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება</u> (შემდგომში - პროგრამის შეფასება). **პროგრამის შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები,** ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.

3. საგანმანათლებლო **პროგრამის შეფასება უნდა მოიცავდეს :**

ა) სწავლის შედეგების შეფასებას პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა შეფასება);

ბ) პროგრამის რაოდენობრივი მახასიათებლების (პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლები წლების მიხედვით და ა.შ.) სტატისტიკურ ანალიზს;

გ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ლექციებზე ურთიერთდასწრების შეფასებას (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდებული ფორმის მიხედვით);

დ) უცხოეთსა და საქართველოში ანალოგიურ პროგრამებთან შედარებას.

4. სწავლის შედეგების შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების განხილვა, უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს **პროგრამის განხორციელების ყოველწლიურ ანგარიშს,** რომელიც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირებით წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.

5. დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის შედეგების, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების სტატისტიკის ანალიზი და შეფასება, ასევე უცხოეთსა და საქართველოში ანალოგიურ პროგრამებთან შედარება **უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 3 წელში ერთხელ.** შეფასების შედეგად უნდა გამოიკვეთოს პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, შემუშავდეს რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

6. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების **შეფასების ანგარიშებს** ფაკულტეტის საბჭო განიხილავს სასწავლო წლის ბოლოს, კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. ანგარიშის განხილვის შედეგად პროგრამის მოდიფიცირების/გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა შევიდეს ცვლილებები, მომზადდეს პროექტი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განსახილველად, შემდეგში კი, დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს, მომდევნო სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე.

7. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესის ადმინისტრირების მიზნით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის **პორტფოლიო, რომელიც** აერთიანებს შემდეგი სახის ინფორმაციას და დოკუმენტაციას:

ა) საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე მისი დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, აკადემიური საბჭოს დადგენილება და ცვლილებების განხორციელების შესახებ ყველა სამართლებრივი აქტი (არსებობის შემთხვევაში);

ბ) პროგრამის მოკლე ანოტაცია (დამტკიცების აქტის, აკრედიტაციის აქტის და ვადის და სწავლის წლიური საფასურის მითითებით, რომელიც პროგრამის სასწავლო გეგმასთან ერთად უნდა განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, შესაბამისი ფაკულტეტის პროგრამების ველში);

გ) აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები (აკრედიტაციის შესახებ, ასევე მონიტორინგის შესახებ (არსებობის შემთხვევაში));

ე) პროგრამის სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები;

ვ) პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

ზ) აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

თ) ბსუ-ს რექტორის ბრძანება კურიკულუმის კომიტეტის შექმნის შესახებ, კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმი/ოქმები;

ი) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის <u>დასკვნის პროექტი და დასკვნა;</u>

კ) ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების და/ან რჩევების გათვალისწინების შესახებ (ბსუ-ს არგუმენტირებული პასუხები, შესრულების ანგარიშები, სამართლებრივი აქტები და სხვა);

ლ) პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაცია **(შევსებული წინამდებარე წესის დანართი №4-ის შესაბამისად);**

მ) პროგრამის ბიუჯეტი/პირველადი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების ბრძანება;

ნ) ხელშეკრულება პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებასთან (არსებობის შემთხვევაში);

ო) ხელშეკრულება პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/ დაწესებულებებთან (ერთობლივი პროგრამის შემთხვევაში);

პ) საგანმანათლებლო **პროგრამის განხორციელების/მიმდინარეობის შესახებ ყოველწლიური** ანგარიში (შევსებული **წინამდებარე წესის დანართი №5-ის** შესაბამისად: **ინფორმაცია** პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა; ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა; მობილობის მაჩვენებლები; კურსდამთავრებულთა საკონტაქტო ინფორმაცია; დასაქმების მაჩვენებლები; სტუდენტთა და პროფესორთა გადინება და ა.შ..);

ნ) დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის შედეგების, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების **სტატისტიკის ანალიზის და შეფასების,** ასევე უცხოეთსა და საქართველოში ანალოგიურ პროგრამებთან **შედარების** ამსახველი დოკუმენტები;

ო) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულის **სხვა დოკუმენტები.**

8. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პორტფოლიო, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით, ინახება შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელექტრონული ფაილები ასევე უნდა გადაეცეს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს).

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურა

1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით პროგრამის დამტკიცებისათვის განსაზღვრული მეთოდოლოგიის/პროცედურის შესაბამისად.

2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების პროექტს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბსუ-ს აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს ან/და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

4. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გაუქმდეს/მიღებული იქნეს მისი განხორციელების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გაუქმების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგებს ან/და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას ან/და კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის შესწავლას ან/და მატერიალური რესურსის შეფასებას ან/და აკადემიური და სამეცნიერო რესურსის შეფასებას ან/და პროგრამის ფინანსური მდგრადობის ანალიზს.

5. პროგრამის შეცვლის/გაუქმების/აკრედიტაციის ვადის გასვლის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და მათ უნდა მიეცეს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა (გონივრულ ვადებში უნდა მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება პროგრამის აკრედიტაციის ვადებთან დაკავშირებით, რათა მათ ისარგებლონ მობილობის უფლებით, გამოცხადდეს რიგგარეშე მობილობა ან სხვა).

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. ბსუ-ს პროგრამის შემუშავების მიზნით წინამდებარე წესის ამოქმედებამდე (2022 წლის 15 ივლისი) შექმნილმა სამუშაო ჯგუფის და კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობები დარჩეს უცვლელი.

2. ბსუ-ს პროგრამის შემუშავების მიზნით წინამდებარე წესის ამოქმედებამდე შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა და კურიკულუმის კომიტეტებმა პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცედურები წარმართონ წინამდებარე წესის შესაბამისად.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის
N06-01/55 დადგენილებით დამტკიცებული

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის

დანართი №1

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კომპონენტები	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობის კოდი	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	მათ შორის								კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
						ლექცია	ჯგუფ. მუშაობა	პრაქტიკული	ლაბორატორ.	პრაქტიკა	შუალედ. გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდ. სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
I	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები																				
1																					
2																					
3																					
4																					
5																					
II	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო																				
6																					
7																					
8																					
9																					
10																					
III	თავისუფალი კომპონენტები ან დამატებითი საგანმანათლებლ ო პროგრამა																				
11																					
12																					
13																					
14																					
15																					
სულ																					

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის
N06-01/55 დადგენილებით დამტკიცებული

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის

დანართი №2

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	*სასწავლო კურსის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს კურსის შინაარს.*
სასწავლო კურსის კოდი	*სასწავლო კურსისთვის კოდის[1] მინიჭება ხდება შემდეგი პრინციპით: პირველი იწერება საფეხურის აღმნიშვნელი სიმბოლო[2] და უნივერსიტეტის კოდი, მეორე - ფაკულტეტის კოდი, [3]მესამე - ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის კოდი, მეოთხე - სასწავლო კურსის კოდი;* *მაგალითად : **B114 04 01 0001***
სასწავლო კურსის სტატუსი	*ფაკულტეტი:* *სწავლების საფეხური:* *პროგრამა:* *სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი):*
ავტორ(ებ)ი	*სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სტატუსი, ფაკულტეტისა და დარგობრივი დეპარტამენტის დასახელება, ტელეფონი, კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მისამართი*
განმახორციელებელი პირ(ებ)ი	*სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სტატუსი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი*
სასწავლო კურსის მიზანი	*სასწავლო კურსის მიზნები ასახავს კურსის მთავარ დანიშნულებას. მიზნებში შეიძლება გადმოცემული იყოს თუ რა ცოდნას და უნარებსა და/ან ღირებულებებს განუვითარებს სტუდენტებს აღნიშნული სასწავლო კურსი.*

1 ("სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2011 წლის 21 სექტემბრის N01-08/41 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ) *ბრძანება 01-08/107 , 31.08.2018*

2 B - ბაკალავრიატი, C - დამატებითი სპეციალობა, M - მაგისტრატურა, D - დოქტორანტურა, T - მასწავლებლის მომზადების პროგრამა, OC - მედიცინის რეგულირებადი

3 ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი - 01, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 02, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 03, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი - 04, ტურიზმის ფაკულტეტი - 05, ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 06, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 07

კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად	***ECTS კრედიტი: 5*** ***საკონტაქტო - 45 სთ*** *ა) ლექცია – 15 სთ (I-XV კვირა);* *ბ) პრაქტიკული მუშაობა – 27 სთ (I-XV კვირა);* *გ) შუალედური გამოცდა - 1 სთ (VIII კვირა);* *დ) დასკვნითი გამოცდა - 2 სთ (XVI-XIX კვირა).* ***დამოუკიდებელი მუშაობა – 80 სთ;***
დაშვების წინაპირობები	*კურსზე დაშვების წინაპირობა წარმოადგენს ამ პროგრამით განსაზღვრული რომელიმე კურსი, რომელიც ისწავლება წინსწრებით; იმ შემთხვევაში თუ კურსი ხორციელდება უცხოურ ენაზე ან/და სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია უცხოენოვანი ლიტერატურა, წინაპირობად მოთხოვნილი უნდა იყოს უცხოური ენის ცოდნა შესაბამის დონეზე.*
შინაარსი	***იხ. ქვემოთ***
სწავლება-სწავლის მეთოდი და შესაბამისი აქტივობები	*ლექცია;* *სამუშაო ჯგუფში მუშაობა* *პრაქტიკული მუშაობა* *დისკუსია;* *ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;*
ცოდნის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები	*სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს:* *შუალედური შეფასება - 60 ქულა:* *მიმდინარე შეფასებები - 40 ქულა:* *.1. წერითი გამოკითხვები* *.2. ზეპირი გამოკითხვები* *შუალედური გამოცდა - 20 ქულა;* *დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა*

შეფასების კომპონენტები და მეთოდები	რაოდენობა	შეფასება	ქულათა ჯამი	შეფასების დრო (კვირა)	შეფასების კომპონენტები და მეთოდები
შუალედური შეფასება - 60 ქულა					
. მიმდინარე შეფასებები - 40 ქულა					
წერითი გამოკითხვები					
ზეპირი გამოკითხვები					

	?. შუალედური გამოცდა					
	დასკვნითი გამოცდა					
	შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: *შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა;* ***სტუდენტის საბოლოო შეფასება:*** *სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.* *უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი*					
სწავლის შედეგები	*სასწავლო კურსის სწავლის შედეგები აღწერს თუ რა ცოდნა, უნარები და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ექნება სტუდენტს აღნიშნული კურსის დასრულების შემდეგ. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები გმაში უნდა იყოს ამავე სასწავლო კურსის მიზნებთან და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან. შედეგები უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურს. სასურველია სასწავლო კურსს ჰქონდეს არაუმტეს 3 (სამი) სწავლის შედეგებისა.*					
ძირითადი ლიტერატურა	*აღნიშნული ლიტერატურის მოძიება შესაძლებელი უნდა იყოს ბსუ-ის ბიბლიოთეკებში.*					
დამხმარე ლიტერატურა	*მითითებული უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში დამატებითი/დამხმარე ლიტერატურა.*					

სასწავლო კურსის სილაბუსის
შინაარსი

კვირა	თემა	საათების რაოდენობა	
		ლექ.	პრაქ.
IX	*შუალედური გამოცდა*		*1*
XVI-XIX	*დასკვნითი გამოცდა*	*2*	

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის
N06-01/55 დადგენილებით დამტკიცებული

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის

დანართი №3

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკები

პროგრამის მიზნები/ პროგრამის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5
პროგრამის მიზანი 1	✓	✓	✓		
პროგრამის მიზანი 2	✓	✓	✓	✓	
პროგრამის მიზანი 3			✓		✓
პროგრამის მიზანი 4		✓	✓	✓	

	პროგრამის სწავლის შედეგი 1	**პროგრამის სწავლის შედეგი 2**	**პროგრამის სწავლის შედეგი 3**	**პროგრამის სწავლის შედეგი 4**	**პროგრამის სწავლის შედეგი 5**
სასწავლო კურსი 1					
სასწავლო კურსი 2					
სასწავლო კურსი 3					
სასწავლო კურსი 4					
სასწავლო კურსი 5					

	პროგრამის შედეგი 1	პროგრამის შედეგი 2	პროგრამის შედეგი 3	პროგრამის შედეგი 4	პროგრამის შედეგი 5
სასწავლო კურსი 1		**2**		**3**	
სასწავლო კურსი 2					
სასწავლო კურსი 3		**1**			
სასწავლო კურსი 4			**2**		
სასწავლო კურსი 5	**1**		**2**		**3**

1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება;

პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება

(განმარტებები იხილეთ ქვევით)

პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი, რომლითაც ხდება შეფასება	შეფასების მეთოდი	სამიზნე ნიშნულები	მონაცემების შეგროვების დრო	პასუხის-მგებელი პირი	განხორციელებული ცვლილებები

განმარტებები:

<u>**პროგრამის სწავლის შედეგი:**</u> პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

<u>**შეფასების მეთოდი:**</u> პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, უდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ);

<u>**სამიზნე ნიშნული:**</u> პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული წარმოადგენს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები აღნიშნულ სწავლის შედეგს. სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება წინა გამოცდილების მონაცემების ანალიზის და/ან სასურველი/მოსალოდნელი შედეგის საფუძველზე.

<u>მონაცემების შეგროვების დრო:</u> სემესტრი, როდესაც ხდება იმ სასწავლო კურსის **ან აქტივობა, ან სტაჟირება, ან საკვალიფიკაციო გამოცდა, ან საკვალიფიკაციო ნაშრომი/გამოცდა და სხვ.** შეთავაზება, რომლითაც ფასდება აღნიშნული სწავლის შედეგი.
<u>პასუხისმგებელი პირი:</u> პირი/პირები, რომელიც პასუხიმგებელია მონაცემთა შეგროვებაზე.
<u>განხორციელებული ცვლილებები:</u> შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ცვლილებები

პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად, შეფასების პირდაპირ მეთოდებთან ერთად, შეიძლება გამოყენებულ იქნას შეფასების არაპირდაპირი მეთოდებიც. მაგალითად, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, სადაც ჩამოწერილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულს სტუდენტებმა შეაფასონ საკუთარი თავი და აღნიშნონ, თუ რომელ სწავლის შედეგზე რა დონით გავიდნენ. აღნიშნული კითხვარი ასევე შეიძლება გაეგზავნოთ დამსაქმებლებს, რათა მათ გამოხატონ თავისი აზრი, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები რომელ სწავლის შედეგზე რა დონით გადიან.
კითხვარების შედეგების დამუშავების შემდეგ შესაძლებელია, ფოკუს ჯგუფის ინტერვიუების ჩატარებაც, უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მისაღებად.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის
N06-01/55 დადგენილებით დამტკიცებული

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის

დანართი №4

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ**

ფაკულტეტი
დარგობრივი დეპარტამენტი
საანგარიშო პერიოდი

	ადგილმდებარეობა (კორპუსი/ოთახის ნომერი) (ციფრული ბიბლიოთეკის შემთხვევაში მიეთითება ვებგვერდის მისამართი)	არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა	იმ პროგრამების ჩამონათვალი, რომლებსაც ემსახურება ბაზა
სალექციო და პრაქტიკული სივრცე			
კომპიუტერული კლასები			
ლაბორატორიული სივრცე			
ლაბორატორიის დასახელება (არსებობის შემთხვევაში)			
უნივერსიტეტის გარეთ არსებული სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკის ბაზები			
კვლევითი ცენტრი			
კლინიკები			
პრაქტიკის ობიექტები			

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე:			
საპროფესორო			
მიუთითეთ სხვა			
საბიბლიოთეკო ფონდი (მათ შორის ციფრული ბიბლიოთეკა)			
მიუთითეთ სხვა რესურსის დასახელება			

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის
N06-01/55 დადგენილებით დამტკიცებული

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის

დანართი №5

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიში

1. **ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ**

პროგრამის სახელწოდება	
პროგრამის კოდი	
უმაღლესი განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სწავლების ენა	
პროგრამის სტატუსი (აკრედიტირებული/არააკრედიტირებული)	
დამტკიცების/აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი/ნომრები და თარიღები	
აკრედიტაციის/რეაკრედიტაციის თარიღი	
ერთობლივი პროგრამა (კი, არა)	

2. პროგრამის განმახორციელებელი

ფაკულტეტი	
ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი	
პროგრამის ხელმძღვანელი	
ერთობლივი პროგრამის თანაგანმახორციელებელი დაწესებულების დასახელება	
ერთობლივი პროგრამის თანახელმძღვანელი	
ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი	
ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტი	

3. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის ECTS კრედიტების რაოდენობა	
პროგრამის საკონტაქტო საათების რაოდენობა	
სავალდებულო კომპონენტები	კრედიტების მოცულობა
სავალდებულო კომპონენტები/სასწავლო კურსები (ECTS)	
არჩევით სასწავლო კურსები ECTS	
თავისუფალი სასწავლო კურსები	
დამატებითი საგან-ლო პროგრამა/ მაინორი (Minor)	
პრაქტიკის მოცულობა	
კვლევითი კომპონენტის მოცულობა	

4. პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებელი

4.1. პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა (გამოიყენეთ ერთ-ერთი ცხრილი პროგრამის/ საფეხურის შესაბამისად)

ა) საბაკალავრო პროგრამისათვის

ჩარიცხვის წლები	კონკურსის მაჩვენებელი	ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულთა რაოდენობა	ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მიღებული საშუალო ქულა	სტუდენტების საერთო რაოდენობა	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა	უცხოეთის მოქალაქები (ერთ. ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხულები)	მობილობა		აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტები	სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა	დაბრუნდა სასწავლო პროცესში	სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი	კვალიფიკაციამიენიჭა	ჩარიცხული სტუდენტების და კურსდამთავრებულთა თანაფარდობა
								დაგმატა	გამოაკლდა						
მიმდინარე სასწავლო წლის (----------) მონაცემებით															
I სასწავლო წელს														-	
II სასწავლო წელს														-	
III სასწავლო წელს														-	
IV სასწავლო წელს														-	
დამატებით სემესტრებზე															

ბ) სამაგისტრო პროგრამისათვის

ჩარიცხვის წლები	კონკურსის მაჩვენებელი	სტუდენტების საერთო რაოდენობა	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი	უცხოეთის მოქალაქები (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხულები)	მობილობა		აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტები	სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა	დაბრუნდა სასწავლო პროცესში	სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი	კვალიფიკაცია მიენიჭა	ჩარიცხული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა თანაფარდობა
					დაემატა	გამოაკლდა						
I სასწავლო წელს											-	
II სასწავლო წელს											-	
დამატ. სემესტრებზე												

გ) სადოქტორო პროგრამისათვის

ჩარიცხვის წლები	კონკურსის მაჩვენებელი	სტუდენტების საერთო რაოდენობა	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი	უცხოეთის მოქალაქეები	მობილობა		აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტები	სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა	დაბრუნდა სასწავლო პროცესში	სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი	კვალიფიკაცია მიენიჭა	ჩარიცხული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა თანაფარდობა
					დაემატა	გამოაკლდა						
I სასწავლო წელს											-	
II სასწავლო წელს											-	
III სასწავლო წელს												
დამატ. სემესტრებზე												

4.2. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი (ყოველწლიური მონაცემების მიხედვით)
(გამოიყენეთ ერთ-ერთი ცხრილი პროგრამის საფეხურის შესაბამისად)

ა) საბაკალავრო პროგრამისთვის

სასწავლო წელი	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ-პროფესორი	ასისტენტი	საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული	ბსუ-ს დოქტორანტი	ბსუ-ს ემერეტუსი	მათ შორის ბსუ-სთან აფილირებული	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა	პერსონალის დენადობის მაჩვენებელი

ბ) სამაგისტრო პროგრამისთვის

სასწავლო წელი	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ-პროფესორი	ასისტენტი	საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული	ბსუ-ს დოქტორანტი	ბსუ-ს ემერეტუსი	მათ შორის ბსუ-სთან აფილირებული	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა	პერსონალის დენადობის მაჩვენებელი

გ) სადოქტორო პროგრამისათვის

სასწავლო წელი	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ-პროფესორი	ასისტენტი	საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული	ბსუ-ს ემერეტუსი	მათ შორის ბსუ-სთან აფილირებული	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა	პერსონალის დენადობის მაჩვენებელი

4.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი

ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	
საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	
ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	
საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	
სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები (გთხოვთ მიუთითოთ)	

4.4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი

წელი	სწავლების საფეხური	ურსდამთავრებულთა რაოდენობა	დასაქმება		ვითდასაქმებული	დაუსაქმებელი		აგრძელებს სწავლას შემდეგ საფეხურზე	ინფორმაცია არ გვაქვს
			კვალიფიკაციის შესაბამისად	ასპეციალობით		არ უცდია სპეციალობის მიხედვით	სცადა და ვერ დასაქმდა		

5. პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები

5.1. პროგრამის გარე შეფასების (აკრედიტაციის, მონიტორინგის ან მოწვეული გარე ექსპერტების) შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისიღონისძიებები

აღწერა
დასტურდება (მტკიცებულებები)

5.2. სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები

აღწერა
დასტურდება (მტკიცებულებები)

5.3. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები

აღწერა
დასტურდება (მტკიცებულებები)

5.4. ურთიერთდასწრების (არსებობის შემთხვევაში) შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები

აღწერა
დასტურდება

5.5. პროგრამის დაინტერესებული მხარეების (კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა) გამოკითხვის შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები

აღწერა
დასტურდება (მტკიცებულებები)

5.6. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები

აღწერა
დასტურდება (მტკიცებულებები)

5.7. ინტერნაციონალიზაცია

აღწერა
დასტურდება (მტკიცებულებები)

5.8. ბსუ-ს სოციალური/საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის/ ბსუ-ს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

აღწერა
დასტურდება (მტკიცებულებები)

5.9. პრაქტიკა და კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები

სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებულისამეცნიერო ნაშრომები	აღწერა და რაოდენობრივი მაჩვენებლები
სტუდენტური კონფერენციები, გამოფენები, და ა.შ.	აღწერა და რაოდენობრივი მაჩვენებლები
შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან/პარტნიორ დაწესებულებებთან	აღწერა და რაოდენობრივი მაჩვენებლები
სხვა დამატებითი ინფორმაცია	
დასტურდება (მტკიცებულებები)	მიუთითეთ დოკუმენტი, ანგარიში, ოქმი, და სხვა...

5.10. პროგრამის მატერიალური რესურსები

პროგრამის შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდისგაუმჯობესება	აღწერა და რაოდენობრივი მაჩვენებლები
პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსის/ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება	აღწერა და რაოდენობრივი მაჩვენებლები
პროგრამის განხორციელების ადგილის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება	აღწერა და რაოდენობრივი მაჩვენებლები
სხვა დამატებითი ინფორმაცია	
დასტურდება (მტკიცებულებები)	მიუთითეთ დოკუმენტი, ანგარიში, ოქმი, და სხვა...

6. **SWOT ანალიზი**

(შენიშვნა: უნდა აღიწეროს/ წარმოდგენილი უნდა იქნეს პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან/ ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით).

ძლიერი მხარეები
სუსტი მხარეები
განვითარების შესაძლებლობები
საფრთხეები

7. **სამოქმედო გეგმა**

(შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის თვითშფასების პროცესში გამოვლინდა ისეთი საკითხები, რომლებიც პროგრამის სრულყოფისათვის საჭიროებს დამატებით ძალისხმევას, ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი აქტივობის განხორციელების სამოქმედო გეგმა)

№	მიზანი	განსახორციელებელი აქტივობა	ვადა	აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები	აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (შემსრულებელი)

თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

შევსების თარიღი:

პროგრამის ხელმძღვანელი:

შეთანხმებულია:
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური